ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N05
(ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ)

ქ. თბილისი 03/02/2021 წელი

ერთის მხრივ შპს „მაგთიკომი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმომადგენელი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ზურაბ ზარიძის სახით, მეორეს მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის ჯუმბერ ვარდმანიძის სახით, შემდეგში ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე“, ვმოქმედებთ რა თითოეული ორგანიზაციის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ”– შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
- „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- „დღე“, „კვირა“, „თვე“, „წელიწადი“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, წელიწადი.
- „მომსახურება“ _ წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- „გიგაბაიტი“ _ კომპიუტერული მეხსიერების ან მონაცემთა ბაზის ნაწილი, რომლის ტევადობა 1024 მეგაბაიტის (2^{30} ბაიტი) ტოლია.
- „ტრაფიკი“– მონაცემთა მიმოსვლა ინტერნეტში, ერთი ქსელიდან მეორეში გადაცემული ბაიტების რაოდენობა დროის კონკრეტულ მონაკვეთში.
- „ინტერნეტ გვერდი“– შემსყიდველის კუთვნილი დომენური სახელის ქვეშ არსებული გვერდების ინტერფეისი, ფუნქციები და შინაარსი, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის მომხმარებლებისათვის.
- „ვებ სივრცე“– ვებგვერდისთვის ინტერნეტთან მუდმივად დაკავშირებულ სერვერზე გამოყოფილი მეხსიერების რაოდენობა.
- „საფოსტო ყუთი“–კომპიუტერული ფაილები რომლებიც ემსახურებიან ელექტრონული საფოსტო შეტყობინებების შეგროვებასა და შენახვას.
- „წერილობითი შეტყობინება“– ნებისმიერი შეტყობინება/ინფორმაციის მიწოდება წერილობითი ფორმით რომელიც გაგზავნილია ერთ–ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის საფოსტო, ელექტრონულ საფოსტო მისამართზე ან სატელეფონო ნომერზე მოკლედ ტექსტური შეტყობინების სახით.
- „დაუშვებელი პროდუქცია“ – ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო

უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

- „უსაფრთხოების სისტემა“ - პროგრამული და აპარატურული დაცვის მექანიზმი, რომელიც ზღუდავს სერვერზე არასანქცირებულ შეღწევას.
- „სერვერული რესურსების გადაჭარბებით მოხმარება“ - რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემსყიდველის მიერ CPU,RAM,Network, etc გადაჭარბებით მოხმარება, რაც ხელს უშლის იმავე სერვერზე არსებულ სხვა მომხმარებელს მიიღოს მომსახურება შეფერხების გარეშე.

„შემსყიდველი“

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია
ტელ: (0422)25-91-13, 25-93-27
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ.#23
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი“
ს.კ. 248428385
ბ/კ: LBRTGE22
ა/ნ #GE88LB0120166231817002

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი
ჯუმბერ ვარდმანიძე

(ხელმოწერა)

self governing unit of Khelvachauri municipality

Digitally signed by self governing unit of Khelvachauri municipality
Date: 2021.02.03 11:55:36 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „მაგთიკომი“
ტელ: (+995 32) 20 00 00
მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ს/კ: 204876606
ბ/კ: UGEBGE22
ა/ნ: GE73VT6600000000423607

გენერალური დირექტორის მოადგილე
ზურაბ ზარიძე

(ხელმოწერა)

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველის ინტერნეტ გვერდისა და საფოსტო ყუთების საჯარო ხელმისაწვდომობის უზურნველყოფა (CPV **72415000** ვებგვერდი ჰოსტინგისა და მომსახურების სერვისები) 30 კალენდარული დღის მინიმუმ 99%-ის განმავლობაში სრულად და აღნიშნული მომსახურების ტექნიკური უზრუნველყოფა.

1.2 მომსახურების ტექნიკური უზრუნველყოფა მოიცავს: შემსყიდველის ინტერნეტ გვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მომხმარებლებისათვის, შემსყიდველისათვის მიწოდებული სერვისის უსაფრთხოებაზე, შემსყიდველის ვებსაიტზე მონაცემთა სრულყოფილი მიმოსვლისა და საფოსტო ყუთების გამართულ მუშაობაზე ზრუნვას, მიმწოდებლის ტექნიკური შესაძლებლობებისა და კეთილგონიერების ფარგლებში.

1.3 მხარეები თანხმდებიან რომ წინამდებარე მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისიწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება ვებ-ჰოსტინგით მომსახურების წესებისა და პირობების დაცვით (იხ. დანართი N1), რომელიც დანართის სახით თან ერთივს წინამდებარე ხელშეკრულებას და შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისათვის.

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

2.2 მომსახურება გაწეულ უნდა იქნას **2021 წლის 10 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 3. ღირებულება და გადახდის წესი

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება, შემსყიდველის მიერ შერჩეული მომსახურების პაკეტის მიხედვით დადგენილი სატარიფო გეგმით.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 231 (ორასოცდათერთმეტი) ლარს.

ვებ.სივრცე	ყოველთვიური ტრაფიკი	საფოსტყო ყუთი	დომენი	ყოველთვიური ღირებულება
3 გბ	100 გბ	30	khelvachauri.ge	21 ლარი

3.2 შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, ნაღდი ან უნდაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემსყიდველის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 გაეცნოს და მომსახურების სარგებლობისას დაიცვას **ვებ-ჰოსტინგით მომსახურების წესები და პირობები** (დანართი N1);

4.2.2 თავად უზრუნველყოს მისი ინტერნეტ-გვერდის პროგრამული დაცვა;

4.2.3 ყოველთვიურად, დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

4.2.4 შეტყობინება გაუგზავნოს მიმწოდებელს საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ;

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

4.3.1 მოსთხოვოს შემყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებითა და მისი დანართით (**ვებ-ჰოსტინგით მომსახურების წესები და პირობები)** ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3.2 შემყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის 4.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, შეუზღუდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება, ხოლო შემსყიდველის მიერ მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 45 დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

4.3.3. წინამდებარე მუხლის 4.3.2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის დროს მიმწოდებელი მის კუთვნილ სერვერზე ინახავს შემსყიდველის კუთვნილ ინფორმაციას (ვებ-გვერდის ბაზა, ელ. ფოსტა და სხვ.). ამავე მუხლის 4.3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შემსყიდველის მიერ მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემყიდველის გაუფრთხილებლად წაშალოს სერვერიდან ყველა მონაცემი.
4.3.4. წინამდებარე მუხლის 4.3.2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის თაობაზე, შემსყიდველი მიმწოდებელს უგზავნის მომსახურების შეზღუდვის შესახებ ინდივიდუალურ შეტყობინებას შემსყიდველის მიერ მითითებულ ერთ-ერთ საკონტაქტო რეკვიზიტზე (მათ შორის, ელ. ფოსტის მისამართი, საკონტაქტო ტელ. ნომერი).
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
4.4.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან.

მუხლი 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა
5.1 მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ ქსელში გატარებულ ინფორმაციაზე ან/და მის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე. შემსყიდველის ინტერნეტ–გვერდების შინაარსთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება შემსყიდველს
5.2 მიმწოდებელი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის რაც შემსყიდველს შეიძლება მიადგეს ინტერნეტ გვერდის დავირუსებისა ან მესამე პირის მიერ უსანქციო ან შემსყიდველს მიერ სანქცირებული ქმედების შედეგად, ვინაიდან მიმწოდებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ ინტერნეტ გვერდისა და საფოსტო ყუთების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით და თავად შემსყიდველი არის პასუხისმგებელი მისი ინტერნეტ გვერდის პროგრამულ დაცვაზე.
5.3 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი ნებისმიერი ხასიათის შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის ფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის დროს, ხოლო ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ფოსტაში განთავსებიდან მე-5 დღეს.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები
6.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
6.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
6.1.2. მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას;
6.1.3. მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად 4.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
6.1.4. შემსყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე მიმწოდებლის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების 6.1.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ეს მუხლი არ ვრცელდება ფორს-მაჟორის დრო;

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა
7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია ერთჯერადად მიმართოს შპს „მაგთიკომის“ დავების განმხილველ სამსახურს, რომელიც, არის მისი შიდა ფუნქციური ორგანო.
7.3. მხარეებს, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს, წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი შეთანხმებიდან, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულებიდან ანდა შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან საქართველოს სასამართლოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს მაჟორი
8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია გაფიცვების, ომის, წყალდიდობის, ხანძრის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად.

8.2 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.
8.3 ფორს მაჟორული გარემოებების პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი გრძელდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტი დროით, თითოეულ მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ელექტრონული ფოსტით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.

მუხლი 9. ხელშეკრულების სხვა პირობები
9.1 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1 (მომსახურებით სარგებლობის წესები და პირობები) რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად.
9.2 შემსყიდველი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემების, მათ შორის იურიდიულ და საბანკო რეკვიზიტების, სისწორეს.
9.3 წინამდებარე ხელშეკრულებით შემსყიდველი იღებს მხოლოდ მომსახურებას და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ინახება მხარეებთან.
9.5 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.
9.6 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის და წარმომადგენელთათვის.
9.7 ის საკითხები, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.8 ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეებმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ზემოთმითითებულ დღესა და წელს გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

დანართი N1
ინტერნეტ გვერდისა და საფოსტო ყუთების საჯარო ხელმისაწვდომობის უზურნველყოფის მომსახურებით სარგებლობის წესები და პირობები
მომსახურების გამოყენების წესები:
აკრძალულია:
- **ისეთი ხასიათის ინფორმაციის განთავსება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორის კონვენციებთან;**
- **ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც შეაფერხებს სერვერზე არსებული სხვა მომხმარებელის მომსახურებას;**
- **არასასურველი ელექტრონული გზავნილი (SPAM) გაგზავნა;**
- **ისეთი პროგრამული კოდების განთავსება, რომლებით იძლევა ამა თუ იმ სერვერზე არასანქცირებული შეღწევის საშუალებას (PHP Shell, Virus etc.);**
- **ნებართვის გარეშე საავტორო უფლებებით დაცული მასალის განთავსება;**

შემსყიდველი ვალდებულია:
- **მომსახურების მიღებისას დაიცვას წინამდებარე წესები და პირობები;**
- **დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნები ინტერნეტ გვერდის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით;**
- **მომსახურების ღირებულების გადახდა განხორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.**

შემსყიდველისათვის ცნობილია, რომ:

- მისთვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული პაროლის დაკარგვისა ან მოპარვის შედეგად მიყენებულ ზარალზე კომპანია პასუხს არ აგებს. პაროლის უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელი არის შემყიდველი.
- შემსყიდველი პასუხისმგებელია მის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე (მათ შორის ბმულებზე, ფაილებისა და სკრიპტების უსაფრთხოებაზე, ელ საფოსტო მისამართებზე);
- გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, რეკომენდირებულია შემსყიდველმა პერიოდულად მოახდინოს ინფორმაციის სარეზერვო კოპირება.

მიმწოდებლის უფლებები :

- სერვერის რესურსის არაჯეროვანი გამოყენების შემთხვევაში, რაც ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით (ვირუსები, მესამე პირის სანქცირებული ან არასანქცირებული შეღწევა, სპამი), მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების მიწოდება თუ აღნიშნული ქმედება ხელს უშლის ამავე სერვერზე არსებულ სხვა მომხმარებლებს სრულფასოვანი მომსახურების მიღებაში.
- მომსახურების რომელიმე წესის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობითი გაფრთხილების შემდეგ დროებით შეუზღუდოს მომსახურება.
- მიმწოდებელი პასუხისმგებელი არაა იმ შემთხვევაზე, როცა მესამე პირის გამო, უსაფრთხოების სისტემის ავტომატური ამოქმედებისას, დამკვეთს არ აქვს სერვერთან კავშირი.

საკონტაქტო ინფორმაცია

- ხელშეკრულების გაფორმების დროს, შემსყიდველი ვალდებულია მიუთითოს სწორი და სრული ინფორმაცია თავის შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელს ჰქონდეს მასთან დაკავშირების საშუალება. ამასთანავე, ნებისმიერი ამ ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს.
- მიმწოდებელს უფლება აქვს გააგზავნოს ტექნიკური პარამეტრები ან შეცვალოს პაროლი, მხოლოდ საკონტაქტო ელ.მისამართზე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

10.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 11. მხარეთა დასახელება და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „მაგთიკომი"
ტელ: (0422)25-91-13, 25-93-27	ტელ: (+995 32) 20 00 00
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ.#23	მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკის"	ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ს.კ. 248428385	ს/კ: 204876606
ბ/კ: LBRTGE22	ბ/კ: UGEBGE22
ა/ნ #GE88LB0120166231817002	ა/ნ: GE73VT6600000000423607
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ჯუმბერ ვარდმანიძე	გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ ზარიძე
----------	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

self governing unit of Khelvachauri municipality

Digitally signed by self governing unit of Khelvachauri municipality
Date: 2021.02.03 11:54:59 +04'00'

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების
კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი პირის
ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 03 თებერვალი 2021 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შემსყიდველის ინტერნეტ გვერდისა და საფოსტო ყუთების საჯარო ხელმისაწვდომობის უზურნველყოფის შესყიდვაში, სადაც მომწოდებელ ორგანიზაციას წარმოადგენს შპს „მაგთიკომი", მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულების ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მასმედიასთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი:

კახა გეგიძე

N 74-05
26/01/2021

74-05-3-202101261746

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ჯუმბერ ვარდმანიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ჯუმბერ,

როგორც მოგეხსენებათ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ოპერირებას უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება. ვებ-გვერდის ფუნქციონირებისათვის საჭიროა ვებ-გვერდის ჰოსტინგის მომსახურებით უზრუნველყოფა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის ჰოსტინგით მომსახურებას უზრუვლეყოფს კომპანია ,,მაგთიკომი'', ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით კომპანიასთან თანამშრომლობის ვადა იწურება მიმდინარე წლის 09 თებერვალს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საჰოსტინგო მომსახურებას გასულ წლებში, სხვა კომპანიებიც ახორციელებდნენ. თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, კომპანია ,,მაგთიკომი'' გამოირჩეოდა მაღალი ხარისხის მომსახურებით, რომელიც უწყვეტ რეჟიმში, შეფერხების გარეშე უზრუნველყოფდა ვებ-გვერდის ჰოსტინგის ოპერირებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ვებ-გვერდის ჰოსტინგით უზრუნველყოფის მიზნით ახალი ხელშეკრულება კვლავ გაფორმდეს კომაპანია ,,მაგთიკომთან''. აღნიშნული კომპანიის მომსახურების საფასური შეადგენს თვეში 21 ლარს.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს უზრუნველყონ კომაპანია მაგთიკომთან ერთ წლიანი ხელშეკრულების გაფორმება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ჰოსტინგით უზრუნველყოფის მიზნით.

პატივისცემით,

კახა გეგიძე

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება

Digitally signed by MagtiCom LLC
2021.02.03 12:33:12 +0400